
01/04/2021

ათონის წმიდა მთაზე კორონავირუსის ოცი ახალი შემთხვევა დაფიქსირდა



ათონის მთაზე კორონავირუსის ოცი ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. ათონის ოლქის გუბერნატორის მოადგილე არისტო კასმიროღლუ აცხადებს, რომ კოვიდინფექციის შემთხვევები დაფიქსირდა ნეა სკიტში, პანტოკრატორში, კარიესისა და წმიდა ანას საძმოებში.

ინფიცირებული ბერების ნაწილი ადგილზე იზოლაციაში გაივლიან მკურნალობას, გარდა 62 წლის ასაკის ბერისა, რომელიც სალონიკშის ინფექციურ საავადმყოფოშია მოთავსებული.

შეგახსენებთ Covid-19– ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ათონის მთაზე 2021 წლის 20 მარტს დაიწყო.

— facebook.com/msofliosaeklesiosiaxleni